პროლეტარეტნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 საშაბათი 6 ივლისი № 156 (16586) ფასი 2 კაპ. 1976

სიგყვები, რომლებიც გვრაზმავენ

საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ მათ ვასწავლოთ მუშაობის ლენინური სტილი, ყველა საკითხის გადაჭრისადმი მიდგომა პარტიული პოზიციებიდან. საერთო სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით, საჭიროა გრძოლა ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, უდისციპლინოგბის, მშრომელთა მოთხოვნილებათა და საჭიროებათა უგულებელყოფის არსებულ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ყოველმხრივ უნდა განვითარდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მიღწევების, ისე არსებული ნაკლოვანებების თვითკრიტიკული ანალიზი უნდა დაედოს საფუძვლად თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის, ყველა კომუნისტის საქმიანობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

მთელი ხალხი იწონებს და მხარს უჭერს

ПРАВДА
5 ივლისის მოწინავე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა ამა წლის 29-30 ივნისს ბერლინში გამართული ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მუშაობის შესახებ ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობდა, და მოლიანად და სავსებით მოიწონა დელეგაციის საქმიანობა. პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ კონფერენციის მოწყობა და მისი შედეგები დიდმნიშვნელოვანი წვლილია ევროპის მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში.

ამ დასკვნებს ეთანხმება ყველა საბჭოთა კომუნისტი, მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც მხურვალედ იწონებს პარტიის პოლიტიკას, დიდად აფასებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ და თანამიმდევრულ საქმიანობას მშვიდობის განმტკიცებისათვის, კომუნიზმის წარმატებული მშენებლობის ხელშეწყობი საგარეო-პოლიტიკური პირობების შექმნისათვის. მშრომელთა მრავალრიცხოვანი მასობრივი მიტინგები და კრებები ამის დამაჯერებელი დადასტურებაა.

კონფერენციის ცენტრალური მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის შესანიშნავი და ღრმად დასაბუთებული, სიმშვიდითა და რწმენით განმსჭვალული სიტყვა, რომელშიც ყოველმხრივ არის გაანალიზებული ევროპისა და მთელი მსოფლიოს მოვლენები, დახასიათებულია ის უდიდესი მუშაობა, რომელსაც ჩვენი პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ეწევიან სკკპ XXV ყრილობაზე მოწონებული „მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის“ შესასრულებლად.

ევროპელმა კომუნისტებმა საერთო საქმისათვის მეტად ხასიათგებლად გაუზიარეს ერთმანეთს კონფერენციაზე აზრები, განიხილეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი თემა, როგორიც არის ევროპის მშვიდობა, უშიშროება, თანამშრომლობა და სოციალური პროგრესი. ეს თემა მით უფრო აქტუალურია, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენი კონტინენტი იყო ბრძოლის ველი, მრავალრიცხოვანი ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების „ქერა, რომლებმაც მსხვერპლად შეიწირეს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, დაანგრიეს ათასობით ქალაქი და სოფელი. ახლა ევროპა უმავალითოდ შეიცვალა. ეს უკვე სრულებითაც აღარ არის ის ევროპა, რომელიც დანგრეული, სისხლით მორწყული, გადაბუგული გამოვდა მეორე მსოფლიო ომიდან. ეს აღარც ის ევროპაა, რომელიც იყო ამ ათეთრმეტიოდე წლის წინათ, „ცივი ომის“ პერიოდში.

„დღეს, — აღნიშნა კონფერენციაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ იმპერიალიზმი ვეღარ უკარნახებს ევროპას როგორ წარმართოს თავისი ბედი. ამ ბედის განსაზღვრაში ახლა მთავარ როლს ასრულებენ სოციალისტური სახელმწიფოები, კაპიტალის ქვეყნების მუშათა და დემოკრატიული მოძრაობა. და სწორედ ამ ძალების გადამწყვეტი დამსახურებაა, რომ უკვე ოცდაათ წელზე მეტია ევროპა მშვიდობის პირობებში ცხოვრობს“.

ევროპაში ცვლილებები კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების ფონზე ხდება, რომელიც არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და მორალური კრიზისიც არის. ეს კრიზისი სულ უფრო მეტად აწუხებს მასებს, რომ კაპიტალიზმი — ეს არის საზოგადოება, რომელსაც არა აქვს მომავალი, და ამით ამრავლებს ხაზოგადოებრივი განვითარების სოციალისტური გზის მომხრეთა რიგებს.

თავიანთ ყველაზე წარმომადგენლობითს ფორუმზე შეკრებილმა ევროპის კომუნისტებმა ერთსულოვნად მიიღეს დოკუმენტი, რომელსაც, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აღნიშნა, საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები. ამ დოკუმენტში მოცემულია კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობლივი შეფასებები და გამოტანილია დასკვნები მთელ რიგ აქტუალურ პრობლემათა გამო, რომელებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის. ევროპის ქვეყნების მუშათა კლასმა, მშრომელთა ფართო მასებმა, ხალხებმა მიიღეს ორიენტაცია, რომელიც გააკეთებულს მათს ბრძოლას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის, თავიანთი საარსებო ინტერესებისათვის.

დოკუმენტის მიდება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დასახული მიზნების მიღწევა. ეს მოითხოვს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი პროგრესული, დემოკრატიული ძალების ხელიდან ხელში მოქმედებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ენერგიულად და მტკიცედ იბრძოლებს ბერლინის კონფერენციაზე დასახული მიზნების მისაღწევად.

როგორც ცნობილია, კონფერენცია მოეწყო ისეთ საერთაშორისო ვითარებაში, როცა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი წამყვანი ტენდენცია გახდა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ეს ყველაზე სრულად გამოხატა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის მოწყობის ფაქტმა, რომელსაც, როგორც ევროპელმა კომუნისტებმა აღნიშნეს, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. თათბირმა შეიმუშავა და დაამკვიდრა სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრინციპები. საერთაშორისო დაძაბულობის შენელებამ აამაღლა მშვიდობისა და პროგრესის ძალების ავტორიტეტი და გავლენა მასებში.

ამასთანავე ბერლინის კონფერენციამ გაითვალისწინა, რომ გააქტიურდნენ დაძაბულობის შენელების მტრები, რეაქციისა და მილიტარიზმის ძალები, რომლებსაც სურთ ევროპა და მთელი მსოფლიო უკან, „ცივი ომისა“ და ატომური კატასტროფის ზღვარზე ბალანსირების ხანაში დააბრუნონ. მშვიდობისათვის ბრძოლის წარმატებებს შეშფოთებული შეხვდნენ ისინიც, ვინც ჯიბეს სიკვდილისა და ნგრევის იარაღის წარმოებით ისქელებს, და ისინიც, ვინც „ჯვაროსნული ლაშქრობის“ გაღრმავებას ესწრაფვის სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ, კომუნისტების წინააღმდეგ, და ისინიც, ვინც, როგორც ამას ჩინეთის მაოისტი ხელმძღვანელები ვერგბიან, აშკარად მოითხოვს ხელის მოთბობის მიზნით „მზადებას ახალი ომისათვის“, ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებს სახელმწიფოებსა და ხალხებს. დაძაბულობის შენელების საწინააღმდეგო ბოქმედებაში მთავარია მისწრაფება მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კიდევ მეტად გააძლიერონ გამალებული შეიარაღება, რომელმაც უმაგალითო მასშტაბს მიაღწია. ჯერ ისევ რჩება ომის საფრთხის კერები. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ მტკიცე მშვიდობის მიღწევა რთული საქმეა, რომელიც დიდ ენერგიას, სიმტკიცესა და თანამიმდევრობას მოითხოვს. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კონფერენციის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ჩვენი პარტია არ შეანელებს ღონისძიებებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ბრძოლაში.

ბერლინის კონფერენციამ მკაფიოდ დაგვანახა მთავარი რევოლუციური ძალები — სოციალისტური სახელმწიფოები, კაპიტალის ქვეყნების მუშათა მოძრაობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, — რომლებსაც მთელ დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად შეუძლიათ დაძლიონ რეაქციის წინააღმდეგობა, აღკვეთონ მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე.

სოციალისტური ქვეყნები განუხრელი ეკონომიური ზრდის წყალობით, რომელსაც თვით ახალი საზოგადოების — ხალხის მასების ინტერესების ხამსახურში მყოფი საზოგადოების ბუნება განსაზღვრავს, თავისი საგარეო პოლიტიკის წყალობით, რომელის მიზანია მშვიდობიანი თანაარსებობის დამკვიდრება და რომელიც სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობაზე, უდიდეს როლს ასრულებენ დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებაში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო აქტიურდება მუშათა კლასი — საზოგადოებრივი განვითარების წამყვანი ძალა, რომელიც გამოხატავს ყველა მშრომელის ინტერესებს, სოციალური პროგრესის ინტერესებსა და საერთო-ეროვნულ ინტერესებს. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მუშათა კლასის, აგრეთვე სხვა დემოკრატიული და ანტიმონოპოლისტური ძალების ბრძოლა მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის საფუძვლების წინააღმდეგ. ეს ძალები, რომლებიც ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის იღვწიან, დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია დაძაბულობის შენელების განმტკიცებაში.

ისტორიულ პროცესზე სულ უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენენ ხალხები, რომლებმაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მიუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობა. ევროპელმა კომუნისტებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებს და კვლავ განაცხადეს, რომ უცვლელად უჭერენ მხარს მათს სამართლიან ინტერესებს — თავიანთი ქვეყნების თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და პროგრესული განვითარების ინტერესებს.

კონფერენციამ ცხადყო მშვიდობისათვის ბრძოლის განუყრელი კავშირი სოციალისტური პროგრესისათვის ბრძოლასთან, კომუნისტური და მუშათა პარტიების მისწრაფება, რომ დაიცვან დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმე სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობის, ეროვნული ტრადიციებისა და ისტორიული განვითარების ზოგად კანონზომიერებათა შესაბამისად.

კომუნისტების აზრით, დაძაბულობის შენელება დიდმნიშვნელოვანი წვლილია ისეთი საერთაშორისო პირობების შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ პროგრესს. მათ მიაჩნიათ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების სულ უფრო სრულად დამკვიდრება ამისათვის საჭირო წანამძღვრებს ქმნის და კაპიტალისტურ ქვეყნებში დემოკრატიული და სოციალური გარდაქმნებისათვის ბრძოლის ხელშემწყობ პირობებს უზრუნველყოფს. დაძაბულობის შენელება ხელს უწყობს აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების პროგრამების განხორციელებას, სოციალიზმის შესაძენებლობათა და უპირატესობათა რეალიზაციას. ამ ფაქტორების მოქმედება აძლიერებს ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, სულ უფრო ამკვიდრებს სოციალიზმის იდეალებს ფართო მასების შეგნებაში.

კომუნისტურმა მოძრაობამ მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის, სხვადასხვა პირობებში სოციალიზმისათვის ბრძოლის ჭეშმარიტად უდიდესი გამოცდილება შეიძინა. ამ გამოცდილებას განზოგადება და თეორიული გააზრება სჭირდება, მით უმეტეს, რომ თვითეული მოძმე პარტიის საქმიანობაში, ეროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებული განუმეორებელი სპეციფიკის გარდა, აუცილებლად არის ზოგადი ნიშნებიც, რომლებიც საინტერესოა მთელი კომუნისტური მოძრაობისათვის. ამავე დროს ცხოვრებასაც განუწყვეტლივ მოაქვს ნიასნე როგორც მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყნების ობიექტური საზოგადოებრივი პროცესების განვითარებაში. იგი სულ ახალ და ახალ ამოცანებს სახავს, რომლებიც გადაწყვეტის უფრო დახვეწილ გზებსა და საშუალებებს მოითხოვს. ამიტომ ალბათ, რომ ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად კომუნისტებს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარება მიაჩნიათ.

„როცა დიდი უურადღებით ვეკიდებით ჩვენი კომუნისტური ოჯახის წევრი ამხანაგების შემოქმედებას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ამა თუ იმ დებულების სისწორის ან, პირიქით, მცდარობის კრიტერიუმი შეიძლება მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება იყოს. მაგრამ ჯერ კიდევ იქამდე, სანამ პრაქტიკა გამოიტანდეს თავის სამოლოო განაჩენს, არის შესაძლებლობა და აუცილებელია შევამოწმოთ ეს დებულებები ამხანაგურ დისკუსიაში, სხვადასხვა პარტიის თვალსაზრისისა და გამოცდილების ფართო შედარების გზით. ცხადია, რომ ყოველივე ეს არგებს თეორიასაც, პრაქტიკასაც, არგებს ჩვენს საერთო საქმესაც“.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ დოკუმენტის დებულებებს, რომელიც კონფერენციამ მიიღო იმის შესახებ, რომ საჭიროა „ანტიკომუნისმის იზოლაცია და დამარცხება“, და ბრძოლა ძალების წინააღმდეგ, რომლებიც კამპანიებს აწარმოებენ კომუნისტური პარტიების, სოციალისტური ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და პროგრესის ძალების წინააღმდეგ.

მშვიდობის, უშიშროებისა და პროგრესის საქმის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების საქმის წარმატებები დღეს დიდად არის დამოკიდებული კომუნისტთა საერთაშორისო არმიის ერთიანობაზე. მთელი რევოლუციური, პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირებაზე. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი კომპარტიების, მთელი მუშათა კლასის ყველაზე მძლავრი და ნაცადი იარაღი იყო და არის შრომელი ადამიანების საკეთილდღეოდ მსოფლიოს გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

ბერლინის კონფერენციამ ასახა მთავარი: მოძმე პარტიათა მისწრაფება თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის დამოუკიდებლობის სრული პატივისცემის პირობებში და იმ განსხვავებული პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც ისინი იბრძვიან, ყოველ-ნაირად განამტკიცონ ამხანაგური ურთიერთობა, ითანამშრომლონ კიდევ უფრო კონსტრუქციულად, კიდევ უფრო მჭიდროდ და შეკავშირებულად.

ევროპის კომუნისტები უარყოფენ ნებისმიერ პოლიტიკასა და მსოფლმხედველობას, რომლებიც არსებითად იმას გულისხმობს, რომ მუშათა კლასი კაპიტალისტურ სისტემას ემორჩილებოდეს. კონფერენციამ განაცხადა, რომ კომპარტიები ინტერნაციონალისტურ თანამშრომლობასა და სოლიდარობას მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი იდეების საფუძველზე განავითარებენ. მან მაღლა ასწია მოძმე პარტიათა ერთიანობისა და შეკავშირების დროშა, ცხადყო, რომ ისინი მზად არიან — თვითეული თავისი საშუალებებითა და მეთოდებით, კონკრეტული პირობების შესაბამისად, — შეიტანონ წვლილი კეთილშობილური მიზნების მიღწევისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

თვით კონფერენციის მოწვევის ფაქტი, მისი წარმატებული მუშაობა, რომელიც ამხანაგურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მიღებული დოკუმენტი მოწმობს, რომ კონფერენცია ევროპის კონტინენტის მოძმე პარტიათა ურთიერთმოქმედების განმტკიცების, მათი ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ბაზაზე ინტერნაციონალისტური თანამშრომლობის განვითარების ფაქტორი გახდა. ახლა საჭიროა კვლავაც ვიმუშაოთ იმისათვის, რომ თანამიმდევრულად შევაკავშიროთ კომუნისტები შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე, ერთად გადავწყვეტოთ აქტუალური პრობლემები, რომელებსაც ცხოვრება აყენებს.

ახალი საზოგადოების მშენებლობაში შემოქმედებითი შრომით საბჭოთა ხალხი კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანს რევოლუციური, კომუნისტური მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარე ძალების საერთო ინტერნაციონალურ საქმეში, ხალხთა მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში.

ვინ მოიკოვებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაზეთ „კომუნისტის“ გაარდამავალ დროშას.

კომბაინერთა შეჯიბრება

ყვარელი

ჯემალ რაქვიაშვილმა ახალსოფლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში ერთ დღეს მოსავალი აიღო 10 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი მარცვალი გალეწა 18 ცენტნერის ნაცვლად.

ბუდანა მირინაშვილმა სოფელ შიღდის კოლმეურნეობაში ერთ დღეს ქერი მომკა 15 ჰექტარზე 12 ჰექტარის ნაცვლად და 20 ცენტნერის ნაცვლად 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა;

დურმიშხან ქარქნაშვილმა ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობაში ქერის მოსავალი აიღო 10 ჰექტარზე ნაცლად დღიური ნორმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა და ჰექტარზე საშუალოდ 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა 20 ცენტნერის ნაცვლად.

ლაგოდეხი

ელგუჯა ჯიბლაშვილმა სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობაში ერთ დღეს ქერის მოსავალი 8 ჰექტარის ნაცვლად 10 ჰექტარზე აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 18,5 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ვიქტორ პოპოვმა ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ქერი მომკა 10 ჰექტარზე, დღიური გეგმა 8 ჰექტარის ითვალისწინებდა და ჰექტარზე საშუალოდ გალეწა 23,7 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 20 ცენტნერისა.

ნორმა — სამაგალ

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ უშაფათის კოლმეურნეობაში მეჩიაოლა კარგად არის განვითარებული. ჩაი შემოსავლის ძირითადი წყაროა. წლეულს აქ მოკრეფენ 646 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს. კრეფის დღიური ნორმას სამმაგად ასრულებენ დოდო ხურცია, შერა ქვარცხავა, თამარ გაბელია, თალიკო შერიზია და სხვები.

სოფელ ზანის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში კვლავ ახალ წარმატებას აღწევს ვეტერანი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ტყებუჩავა. მან ერთ დღეს 100 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მოსავალი ავილოთ დროზე და უდანაკარგოდ!

არცერთი თავთავი — მინდვრად, არცერთი მარცვალი — ნამჯაში!

უხვი მოსავლის ოსტატები

ეურეულის მკა წარმატებით მიმდინარეობს წითელწყაროს რაიონის ქვემო ჭედის კოლმეურნეობაში. სურათზე: მოწინავე კომბაინერები მიხეილ დიდებაშვილი და შოთა გაინდუარაშვილი მინდვრად.

ს. ჯანიაშვილის ფოტო.

პურს მკიან სიდნაღდეები

ალოობის ცხარე დღეების პირველი წარმატებანი და ნაკლოვანებანი

გაზაფხულის უხვმა ნალექებმა ზოგი ვაახარა, ზოგი კი დაალონა. შირაქში, იორზე, ტარიბანაში პურის ყანები, რომ იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება. ჰექტარზე საშუალოდ 35-40 ცენტნერ მარცვალს მოელიან.

ასე როდინა ალაზნის ველზე. უხვმა ნალექებმა ჯეჯილი ერთიანად ააღორძინა, შემდეგ კი, როცა თავთავები ბოქმაიმდა, ყანა ჩაწვა. ამიტომაც ძნელდება მოსავლის აღება. ეს კიდევ არაფერი... 4.000 ჰექტარი ქერისა და პურის ყანა ისევ დაეპობებული, რომ ვერც ტრაქტორი და ვერც კომბაინი შიგ ვერ შედის.

გულს როდი იტეხენ გამოცდილი მემანდვრეები, მექანიზატორები. ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ არცერთი კილოგრამი მარცვალი მინდორში არ დარჩეს. გარკვეულ ფართობზე მოსავალი უკვე აიღეს, მარცვალი გამოლეწეს, ხალხს ნაშრომ-ნაამაგარი წყალს არ გაატანეს.

დღეიდან კი სულ სხვაა — ამ ნაკვეთებზე „საქმოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანების მეერ გამოყოფილი ხუთი შალგინი კომბაინით მკიან პურეულს და ალბათ მალე მოათავებენ მკას.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს აღლობის ამ ცხარე დღეებში მხარში ამოუდგნენ რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელები. ისინი მათ მოსავლის ასაღები ტექნიკით და ტრანსპორტით ეხმარებიან. გუშინ ახალქალაქის რაიონიდან ოცი კომბაინი მოვიდა. სტუმრები შრომაში ტოლს არ უდებენ მასპინძლებს. ბევრი მათგანი ორ ცვლად მუშაობს.

პურეულის მოსავლის აღების ხელმძღვანელობისათვის რაიონში შექმნილია კომისია. მასში გაერთიანებულნი არიან პარტიის რაიონული კომიტეტის, რაისაბჭოს აღმასკომის, სოფლის მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები, მთავარი სპეციალისტები. ისინი ყოველდღე, ყოველ საათს აკონტროლებენ ამ დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის კამპანიის მიმდინარეობას.

დასამალი არ არის, რომ ყველგან საქმე კამათულად არ არის. ცდება კომბაინები, აქვთ შეფერხებები. მაგალითად, სოფლების ანგის, ეკალრის, ტიბაანის კოლმეურნეობებში, სადაც ქერის მოსავალი კარგა ხანია ბომწიფდა, მხოლოდ მთელი ფართობის 20-25 პროცენტი მომკეს.

ამ კოლმეურნეობების მესვეურებს რომ ჰკითხოთ, რა უშლით ხელს მუშაობაში, უმალ ვიტყვიან — ტრანსპორტის ნაკლებობა, ისეთი სათადარიგო ნაწილების უქონლობა, როგორიც არის კომბაინის წამყვანი ღვედელი, ცელები, საჭრელი აპარატის თითები. ცხადია, მათი წუხილი ყურადსაღებია. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ რაციონალურად ვერ იყენებენ დროს, ირღვევა წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკი.

ივლისის დამდეგისათვის რაიონში ქერის მოსავალი 3.172 ჰექტარზე ანუ ფართობის ნახევარზეა აღებული; ხორბალი — 13.465 ჰექტარიდან 381 ჰექტარზე.

მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში რაიონში სახელი გაითქვეს კომბაინერებმა ოსიეს ჯანგულაშვილმა, მიხეილ კუდინოვმა, მიხეილ მამუკელაშვილმა. ისინი ყოველდღიურად 12-15 ჰექტარზე აღებენ მოსავალს, საშუალოდ ერთ ჰექტარზე 26-28 ცენტნერ მარცვალს ლეწავენ.

პურეულის მოსავლის აღების საქმე შედარებით სწრაფად, ორგანიზებულად მიმდინარეობს ბოდბისხევის, ძველი ანაგის, ბოდბისა და მაღაროს კოლმეურნეობებში. ქერის მოსავლის აღება მთავრდება, უკვე შეუდგნენ ხორბლის მკას.

რაიონის კოლმეურნეობებს ახლა ძირითადად ორ ფრონტზე აქვთ მუშაობა გაჩაღებული. პურეულის მოსავლის აღებასთან ერთად პირუტყვის საკვებსაც ამზადებენ. სიღნაღელები ხომ შეჯიბრების ინიციატორები არიან!

მინდორში თუ საველე კალოზე, ვენახში თუ მეცხოველეობის ფერმებში ახლა დიდი გამოცოცხლებაა. ახალი სახალხოები, სიხალისე შეიტანა ცნობამ, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ აღირიდული დადგენილების შესრულების გაანხილვის შედეგად დიდად შეაფასა საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, ახალი, ნათელი პერსპექტივები დაუსახა. მშრომელები დიდი გულისყურით ეცნობიან პრესაში გამოქვეყნებულ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, სახალხო კონკრეტულ ღონისძიებებს.

ვლ. მეჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ამიერკავკასიის ხელმძღვანელ კომკავშირულ მუშაკთა თათბირ-სემინარი

5 ივლისს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და კომკავშირის საოლქო, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების პირველი მდივნების თათბირ-სემინარი.

თათბირის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. ჟოლბინი.

მოხსენება „კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაძლიერების ამოცანები“ — გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ჟიტნევმა. მომხსენებელმა კომკავშირის კომიტეტებს ძირითად ამოცანად დაუსახა გააჩაღონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობების, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის იმ გადაწყვეტილების შესასრულებლად, რომ კიდევ უფრო განაკითარონ კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს შორის მოძრაობა დევიზით „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდების ენთუზიაზმი და შემოქმედება!“, აგრეთვე ბაზგასმით აღნიშნა, თუ როგორ მნიშვნელოვანია სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის შე-60 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი ლენინური კომკავშირის პატაკის ხელმოწერის უფლების მოსპოვებლად. აღინიშნა, რომ ორგანიზებულად უნდა დამთავრდეს კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მარტავამ გამოსვლისას თქვა, რომ რესპუბლიკის კომკავშირელთა 615-ათასიანი რაზმი, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ ხორცი შეასხას ქვეყნის კომუნისტთა ფოლუმის მიერ დასახულ ამოცანებს, ვადამდე შეასრულოს მეათე ხუთწლედის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

შემდეგ გამოვიდნენ სომხეთის ალკკ ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ტუტოიანი, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, ახალი, ნათელი პერსპექტივები დაუსახა. მშრომელები დიდი გულისყურით ეცნობიან პრესაში გამოქვეყნებულ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, სახალხო კონკრეტულ ღონისძიებებს.

ვლ. მეჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნინმ, ა. ნ. კოსიგინმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს პაკ სენ ჩერს გულითადი მილოცვა შეუთვალეს, სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 15 წლისთავის გამო.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა ახალი დიდი წარმატებები უსურვეს მომძე კორეელ ხალხს სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

პარტიის შეფასების პასუხად: საქმე ახლა ჩვენზეა!

მოწინავეთა მაგალითით

სიჯუვის ხალხი

□ ეფექტიანობა, ხარისხი — უველა უბანზე! □ წარმოების მაღალი კულტურა და მხოლოდ სანიმუშო დისციპლინა! — ამ დევიზით გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დედაქალაქის საწარმოთა მუშაკებს

ექვსი თვის წინათ თბილისის დამატრიოტის ახელობის ხაკეთილი ქარხნის, საავეჯო კომბინატ „განთიადის“ და სხვ ქალაქის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის გადწყვეტილებით ამ საწარმოთა მუშაკებს მოუწოდეს გაეშალათ შეჯიბრება წარმოების მაღალი კულტურისა და სანიმუშო დისციპლინისათვის. ინიციატორთა მოწოდებას ბევრ საწარმოში ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ და შეჯიბრებაც გაჩაღდა. როგორ მიმდინარეობს იგი; როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი? რა გაკეთეს ამ მხრივ თვით ინიციატორთა კოლექტივებმა? ეი ამ საკითხებს მიუძღვნა თავისი გაფართოებული გამსვლელი სხდომა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიამ.

კომისიამ გამსვლელი სხდომის ჩასატარებლად სსრკ 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება შემთხვევით როდი აირჩია. ეს კოლექტივი ეკანასკნელ ხანს მართლაც სანიმუშოდ შრომობს და ამ ბევრი თვალსაჩინო ღონისძიება განხორციელდა წარმოების კულტურის ამაღლების, შრომითი პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

ამ ხნის მანძილზე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 9 საამქროს, მათს შორის ზოგიერთ საამწყობო საამქროსაც, ახალი მოწყობილობით აღჭურვილ საამქროებში დაინერგა მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები, ამუშავდა ახალი ავტომატური ნაკადური ხაზები, გაერთიანდა ზოგიერთი მცირე საამქრო და უბანი. ამ ღონისძიებათა ეკონომიური ეფექტი 325 ათას მანეთს შეადგენს, საამქროებში გაუმჯობესდა მოკროკლიმატი, გაფართოვდა ადგილების თვალსაჩინოებანი. გემოვნებით არის ტაბლოებით სამუშაო ადგილები, დერეფნები, წითელი კუთხეები.

საწარმოს საამქროების დათვალიერების შემდეგ გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიის სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს საქალაქო კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა.

გაერთიანების კოლექტივის მიერ წარმოების მაღალი კულტურისა და სანიმუშო დისციპლინისათვის გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გაერთიანების გენერალური დირექტორი ვ. კერესელიძე.

გაიმართა ფართო მსჯელობა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლეულში დგას სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წინაშე. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებით აღფრთოვანებულ კოლექტივებში კიდევ უფრო გააფართოებენ მუშაობას წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, რათა მეტი ეფექტი, საუკეთესო ხარისხი მოსწყვეს ჩვენს საქმიანობას უველ რგოლში, უველა უბანზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს კომუნისტების, მეშუბათა კლასის შრომის ისოდენ დიდი შეფასება თვითეულ კოლექტივს მეტს ავალებს.**

ამ ისტორიული დადგენილებით დასახული ამოცანების შესასრულებლად გაშლილი მუშაობის შესახებ, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრეს დამატრიოვის სახელობის საავეჯო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ჯიქიძემ, ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა თ. ჯაბიურმა, გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. თოლორაიამ, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ბოგელიძემ, კრასნოარეული კომბინატის დირექტორმა ი. ბელაძემ, პირველი მაისის სახელობის საავეჯეალო ფაბრიკის დირექტორმა ვ. გეგეძემ, საინსტრუმენტო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გ. დარასელიამ, პარტიის პირველი მაისის რაიონის პირველმა მდივანმა ბ. მაბარაშვილმა.

კომისიის სხდომამ დადებითად შეაფასა სსრკ 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივების მიერ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. გაბუნია, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარებედა.

არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების მეორე დღესვე ჩვენ, რუსთაველი მეფოლადეები შრომითს ვიბრეთ დადგენილი და მარტო ერთ დღეს, 23 ივნისს 350 ტონა ფოლადი გამოვადნეთ დღეღამის გეგმის გადამეტებით. შრომითს ვიბრეთ ბრიგადა, რომ ეტყვიან, სამეთი ვუპასუხებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ამის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ამოცანებს შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ დღეებში მიღებულ დადგენილებას ჩაწერილია, თუ რა ოპერატიულად გამოეხმაურა რესპუბლიკის მთელ ფაბ პარტიულ კომიტეტებთან, ადეოლოგიურ დაწესებულებებთან, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებთან ერთად საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, თუ რარიგ სულ უფრო აძლიერებს იგი მუშაობას ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის პროპაგანდისა და განმარტებისათვის. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების მეორე დღესვე ჩვენ, რუსთაველი მეფოლადეები შრომითს ვიბრეთ და მარტო ერთ დღეს, 23 ივნისს 350 ტონა ფოლადი გამოვადნეთ დღეღამის გეგმის გადამეტებით. შრომითს ვიბრეთ ბრიგადა, რომ ეტყვიან, სამეთი ვუპასუხებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ამის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ დღეებში მიღებულ დადგენილებას ჩაწერილია, თუ რა ოპერატიულად გამოეხმაურა რესპუბლიკის მთელ ფაბ პარტიულ კომიტეტებთან, ადეოლოგიურ დაწესებულებებთან, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებთან ერთად საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, თუ რარიგ სულ უფრო აძლიერებს იგი მუშაობას ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის პროპაგანდისა და განმარტებისათვის. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

**ბევრ ადგილას ჩამორჩენილია ინფორმაციის მიწოდება. ეს ეხება ბევრ ინფორმაციას, ბევრ ინფორმაციას, ბევრ ინფორმაციას

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საადგილო და უცხოეთის პრესის საგანგებო ინფორმაციებიან

სოციალისტურ ქვეყნებში

□

ჩეხოსლოვაკია

მეგილიონე „იავა“

ფლეულს საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიიდან მემილიონე „იავა-350“ მოტოციკლს მიიღებს. საბჭოთა მომხმარებელმა სათანადოდ შეაფასა ეს მანქანა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქარხნის მიერ გამოშვებული მოტოციკლების სამი მეოთხედი — წელიწადში დაახლოებით 60 ათასი მანქანა — საბჭოთა კავშირში იყიდება. (პრაღაპრესი).

ვიეტნამი

მაგისტრალი „ერთიანობა“

ვიეტნამში შენდება ტრანსვიეტნამის რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც ჰანოის ხოშიმინთან დაკავშირებს. გზა, რომელსაც „ერთიანობა“ დაარქვეს, ქვეყნის გაერთიანების სიმბოლო გახდა. (ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო).

კოლონეთი

ბიბლიოთეკების განვითარებისათვის

ამ დღეებით მიმდინარეობს პოლონეთში 1976 წელი, რომელიც ბიბლიოთეკების წლად გამოცხადდეს.

სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე პოლონეთში სამბიბლიოთეკო საქმე დიდად განვითარდა. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს სხვადასხვა პროფილის 54 ათასი ბიბლიოთეკა, რომელთა ფონდში 250 მილიონი ტომია. (ინტერპრესი).

გდრ

შვარცის კომბინატის ძაფი

ბერლინი. დემოკრატიულ რესპუბლიკაში არის საწარმო, სადაც ყოველ 3,5 წუთში ამზადებენ ისეთი სიგრძის ძაფს, რომ იგი დედამიწის სფეროს შემოწვდება. ეს არის ჰერის ოლქში მდებარე ქალაქ შვარცის ვ. პიკის სახელობის ქიმიური ბოჭკოს კომბინატი. ამ კომბინატისა და რესპუბლიკის სხვა მსგავს საწარმოთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგად გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შარშან ერთ სულ მოსახლეზე სინთეზური ბოჭკოს გამოშვებით მსოფლიოში მეოთხე ადგილი დაიკავა. (ასს).

მსოფლიოს ამბები

გამოხმაურება

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა

ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის შედეგები მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის უურადღების ცენტრშია. გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე იუწყებიან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სავსებით და მთლიანად მოუწონა საქმიანობა სკკპ დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. პრესა აღნიშნავს, რომ კონფერენციის მოწყობა და შედეგები დიდმნიშვნელოვანი წვლილი გახდა ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში. ხაზგასმით აღნიშნავენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში აღძრული პრობლემებისა და გამოტანილი დასკვნების პრინციპულ მნიშვნელობას, წერენ, რომ ამ სიტყვას დიდი რეზონანსი ხვდა მთელ მსოფლიოში.

სოფია. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დინჯმა, ღრმად ანალიზურმა და ბრძნულმა სიტყვამ, აღნიშნავს ბულგარული გაზეთი „კოოპერატივნო სელო“. ეს სიტყვა უაღრესად ზუსტად, ცხადად და ლენინისებური გამჭრიახობით აყენებს ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ძირითად საკითხებს და, ჩვენი აზრით, ევროპისა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე მისი ზემოქმედების ძალა სულ უფრო გაიზრდება. სიტყვამ კონფერენციის შუშაობა გაამდიდრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებით. ამ პარტიის ხმა დღითი დღე სულ უფრო ძლიერდება, იგი მოგვიწოდებს მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის, გამოხატავს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ პოლიტიკას.

ვარშავა. ევროპის 29 კომუნისტური და მუშათა პარტიის ხელმძღვანელებმა, წერს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“, ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ მთავრობათა მიერ შეუშავებული ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პრინციპების შესრულება მარტო მთავრობების კი არა, ევროპის ფართო საზოგადოებრიობის საქმეც არის.

პრაღა. უდიდესი ინტერესი გამოიწვია კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, აღნიშნავს ნეზოსლოვაკიის გაზეთი „ლიდოვა დემოკრაციე“, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შეთაურის გამოსვლა ახალი მძლავრი იმპულსი გახდა საერთაშორისო ურთიერთობაში პოზიტიური ცვლილებების პროცესის განგრძობისათვის ბრძოლაში.

ჰავანა. გაზეთი „გრანმა“ აღნიშნავს ბერლინში დამთავრებული ფორუმის მონაწილეთა მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძონ ბრძოლა მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისათვის.

ჰანოი, გაზეთი „ნიაზანი“ დიდი სათაურებით ჩეჩდავს ცნობას ბერლინში კონფერენციის მუშაობის დამთავრების შესახებ და მოჰყავს შინაარსი საბოლოო დოკუმენტისა „ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ კონფერენციის მონაწილე დელეგაციები მიესალმებიან ვიეტნამელი ხალხის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხების ისტორიულ გამარჯვებას იმპერიალისტურ აგრესორებსა და შინაური რეაქციაზე.

ბონი. ისტორიული მნიშვნელობის ფორუმს უწოდებს ევროპელ კომუნისტთა კონფერენციას გაზეთი „უნზერე ციტი“, როგორც დამაჯერებლად მოწმობს მისი შედეგები, ხაზს უსვამს გაზეთი, კონფერენციაზე გამოიხატა ევროპის ქვეყნების 29 მილიონი კომუნისტის მისწრაფება კვლავაც იბრძოლონ მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესის საქმისათვის, მიაღწიონ საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგობის მიუხედავად, სრულიად ევროპის საბოლოო აქტში ჩამოყალიბებული პრინციპების სრულ განხორციელებას.

ბრიუსელი. ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიები, წერს გაზეთი „დრაპო რუჟი“, განაცთრებენ თანამშრომლობას და საერთაშორისო სოლიდარობას მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეების ბანაზე. კონფერენციის მონაწილეებმა, განაგრძობს გაზეთი, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ მავნეა ანტიკომუნიზმი პროგრესისა და მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის განვითარებისათვის.

ლონდონი. ევროპის კომუნისტურმა პარტიებმა, აღნიშნავს გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“, კონფერენციის დასასრულს მოიწონეს დოკუმენტი, რომელიც მათი ურთიერთობის პრინციპებს ამკვიდრებს და მათს საერთო ძიზნებს განსაზღვრავს. ეს დოკუმენტი, განაგრძობს გაზეთი, სასტიკად გმობს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის ყოველგვარ ცდას და აყენებს მოთხოვნას სამხრდრო დაძაბულობის შენელებაში პროგრესის მიღწევის შესახებ, გმობს ძალის გამოყენებას და მხარს უჭერს ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ერთდროულ ლიკვიდაციას.

ტოკიო. განმარტავს რა ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ბერლინის კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვას, „იომიური“ აღნიშნავს, რომ მას „უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მთელი ისტორიისათვის“. მეორე იაპონური გაზეთი, „ტოკიო სიმბუნი“ აღნიშნავს თანხმობისა და საერთაშორისო სოლიდარობის ატმოსფეროს, რომელშიც კონფერენციამ მიმდინარეობდა და საბოლოო შედეგი მოიწონეს. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

ბერლინი. (საკდესი). **დამთავრდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ი. განდის ოფიციალური ვიზიტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც იგი იმყოფებოდა 1-დან 4 ივლისამდე.** ვიზიტის ბოლოს გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ინდოეთის რესპუბლიკა გამოდიან საერთაშორისო კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის. მხარს უჭერენ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის წინადადებას.

თავდასხმა უგანდის აეროდრომზე

ლონდონი, (საკდესი). **როგორც კამპალადან იუწყებიან, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების სამი თვითმფრინავი შეიჭრა უგანდის ტერიტორიაზე. მათ გადმოსხეს შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ენტებეს აეროპორტს, სადაც იყო ამ დღეებში გატაცებული სამხედრო თვითმფრინავი „ერ-ფრანსი“ მძევლებითურთ.**

ატყობა სროლა, რომლის დროს თვითმფრინავის გამტაცებლები დახოცეს. აეროდრომს მნიშვნელოვანი ზარალი, მიაყენეს, აფეთქებულია საწვავის საწყობი, მოსპობილია უგანდის რამდენიმე თვითმფრინავი.

პორტ-ლუი. (საკდესი). ისრაელის მხედრიონის ახალ მეკობრულ აქტს, რომელიც მან ენტებეს აეროპორტში ჩაიდინა, შკაცრად გმობენ აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს.

ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე, როგორც აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა პრესკონფერენციაზე, წაიკითხეს უგანდის პრეზიდენტის იდი ამინის წერილი; რომელშიც აღნიშნულია, რომ ისრაელის შეიარაღებულმა ჯგუფმა, რომელიც ენტებეში გადმოსხეს, მოსპო აეროპორტის შენობა, ათზე მეტი სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავი. სროლის დროს დაიღუპა ასი უგანდელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ეს აქცია განხორციელეს ამ დღეებში გატაცებული ავიაკომპანია „ერ-ფრანსის“ თვითმფრინავზე მყოფ მგზაურთა ჯგუფის განთავისუფლების საბაბით.

იდი ამინმა მოუწოდა აფრიკის ქვეყნებს გადაჭრით დაგმონ სიონისტთა ეს გამოხდომა და მოითხოვა სასწრაფოდ მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო ენტების აეროპორტზე თავდასხმის საკითხის განსახილველად.

ფიცი დაადებინეს

ნიკოზია. (საკდესი). **აქ გამოაცხადეს, რომ კვიპროსის თურქული თემის ლიდერს რ. დენქტაშს ფიცი დაადებინეს როგორც „კვიპროსელ თურქთა ფედერაციული სახელმწიფოს“ პრეზიდენტს.** პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ეროვნული ერთიანობის პარტიის გენერალური მდივანი ნ. კანუკი.

თურქული თემის „პარლამენტის“ დეპუტატთა არჩევნებში, რომელიც ივნისში გაიმართა კუნძულზე, გაიმარჯვა ეროვნულ ერთიანობის პარტიამ, რომლის გენერალური თავმჯდომარეა რ. დენქტაში. იგი ამავე დროს აირჩიეს „კვიპროსელ თურქთა ფედერაციული სახელმწიფოს“ პრეზიდენტად.

აქ ამას იფასებენ, როგორც ნაბიჯს, რომლის მიზანია იურიდიულად განამტკიცონ კუნძულის ფაქტიური გაყოფა.

საყოველთაო მხარდაჭერა

ჰანოი, (საკდესი). **აქ გაიმართა ჰანოის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების სესიის მუშაობის დამთავრების აღსანიშნავად.**

მიტინგს დაესწრნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ტონ დიკ თხანგი, ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჩიონგ ტინი და ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

მიტინგის დასაწყისში სამხედრო ორკესტრმა შეასრულა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი. პიონერებმა თაიგულები მიართვეს ქვეყნის ხელმძღვანელებს. ათასობით მოსწავლე სტადიონის მოედანზე, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, ისე დადგა, რომ გამოხატა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ცოცხალი ალამი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დროშა და სტუდენტი „ჩვენ მადლობას ვუძღვნით ხო ში მინს“.

მიტინგზე გამოვიდა ჰანოის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე ჩან ზუი ჰინგი. განვლილი სესია, თქვა მან, ისტორიული გახდა. 30 წლის მამაცური ბრძოლის შემდეგ ვიეტნამელმა ხალხმა მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ჩან ზუი ჰინგმა ხაზი გაუსვა ეროვნული კრების სესიის მუშაობის შედეგების უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის ცხოვრებისათვის, ვიეტნამიდან ამ სესიამ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა და სოციალიზმის მშენებლობის გზით ვიეტნამის წინსვლის ახალი ეტაპი გახდა.

ფოტოინფორმაცია



ბრაზილიის ახალ დედაქალაქ ბრაზილიაში საუცხოო თანამედროვე საცხოვრებელი სახლების მთელი უბნები შენდება, სადაც ბინის ყიდვა მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ. მშრომელთა ოჯახები, რომლებსაც ამ უბნებში ცხოვრებაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ, ქალაქის გარეუბნებში, ეგრეთ წოდებულ ფაველებში, სახელდახელოდ აგებულ მიწურებში ცხოვრობენ.

სურათებზე: (ზემოთ) ბრაზილიის „ახალი დედაქალაქის ცენტრი; (ქვემოთ) ფაველის მკვიდრთა შვილები.

აღნ-საკდესის ფოტო.

პორტუგალია: პრეზიდენტი არჩეულია

- **პრეზიდენტად აირჩიეს გენერალი რამალიუ ეანეში**
- **კომპარტია დემოკრატიის დაცვისათვის ბრძოლაში**
- **სოციალისტური პარტია არჩევნების წინაშე**

პორტუგალიაში გაიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტი გახდა სახელმწიფო თავადი ეროვნული ერთიანობის ყოფილი კანდიდატი, 1973 წლის მაისიდან 1975 წლის ოქტომბრის ჩათვლით იყო ახლანდელი მთავრობის ფინანსთა და სახელმწიფო კრედიტის მინისტრი. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას, რომელსაც 6 წლის ვადით ირჩევენ, იგი ამა წლის 1 დეკემბერს შეუდგება.

კენჭისყრის შემდეგ ხ. ლოპეს პორტუგალიამ განაცხადა, რომ გაგრძობს თავისი წინამორბედის — სახელმწიფოს ახლანდელი მეთაურის ლუის ეჩევერიის საგარეო პოლიტიკურ კურსს.

□

უცხოეთის პრესიდან

საფრთხე საკუთრებიდან

ეგრეთწოდებული მკვლელი ფუტკრები ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეხვევიან დაახლოებით ოთხმოცი-ანი წლების დამლევს, მაშინაც კი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მათი გავრცელების შესაჩერებლად სპეციალური ღონისძიებების პროგრამას განახორციელებს, კანზასის უნივერსიტეტის ენტომოლოგა ორლი ტეილორმა განაცხადა, რომ ფუტკრები მოძრაობენ სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებიდან ჩრდილოეთისაკენ 300-500 კილომეტრის სიჩქარით წელიწადში. „თუ მათი გავრცელების სიჩქარე არ შეიცვლება, თქვა ტეილორმა, 1981 წელს ისინი მიაღწევენ პანამას, ხოლო დაახლოებით 1988-დან 1994 წლამდე გადალახავენ აშშ-ის საზღვარს და მოედებიან ტეხასის შტატს“.

„მკ- ელი ფუტკრები“, რომელთა სამშობლო სამხრეთ აფრიკაა, შესწავლის მიზნით თავდაპირველად ბრაზილიაში ჩამოიყვანეს. 1957 წელს ქ. სან-პაულოს მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი სადგურიდან ამ ფუტკრების პირველი ნაყარი გაფრინდა. დღეისათვის კი, როგორც ტეილორმა განაცხადა, ექსპერტებმა უკვე 500.000 ნაყარი აღრიცხეს, ხოლო არაოფიციალური ცნობებით მათმა რაოდენობამ 2 მილიონს მიაღწია. ფუტკრები მეტად აგრესიულნი არიან. ისინი ხშირად თავს ესხმიან ადამიანებს და ცხოველებს. ბრაზილიის სოციალისტების მონაცემების თანახმად, 1957 წლიდან მოყოლებული მკვლელი ფუტკრების თავდასხმებმა 300-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

□

რეკორდები უვიცობაში

სოციოლოგიური კვლევის ცნობილმა გალაპის ინსტიტუტმა ამას წინათ ჩაატარა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის კულტურული დონის შემოწმება. გამოირკვა, რომ ყოველი 100 ამერიკელიდან 30-ს არ იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეიქმნა 1776 წელს, ეს იმ დროს, როდესაც ქვეყანა ზეიმობს ამერიკის შეერთებული შტატების მე-200 წლის თავს. გარდა ამისა, ასიდან 42 ამერიკელმა ვერ უპასუხა კითხვაზე, თუ ვინ იყო ნაპოლეონი, 56-მა — ვინ იყო არისტოტელე, 66-მა — რაფაელი, 71-მა — ტოლსტოი, 76-მა — რუბენსი. ამერიკელთა 25 პროცენტმა თურმე ისიც კი არ იცის, თუ ვინ არის დღეს ამ ქვეყნის პრეზიდენტი. ყოველივე ეს არ არის გასაკვირველი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე მილიონი სრულწლოვანი მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარია.

□

ქაღალდი ნამჯის ნაცვლად

ინგლისში წელს ნამჯის ნაკლებობა იგრძნობა. მდგომარეობის შესამსუბუქებლად ფერმერები იყენებენ... ქაღალდს. სპეციალური მანქანები ანაკუწებენ მაკულატურას. ამგვარად დამუშავებულ ქაღალდის მასას წარმატებით იყენებენ ფერმებში საქონლის საფენად. საინტერესოა, რომ დანაკუწებული ძველი გაზეთებიდან ორჯერ უფრო მეტი საფენი კეთდება, ვიდრე იმავე წონის ნამჯიდან.

ბოლოდროინდელი

ბონი

ბონი. ისტორიული მნიშვნელობის ფორუმს უწოდებს ევროპელ კომუნისტთა კონფერენციას გაზეთი „უნზერე ციტი“, როგორც დამაჯერებლად მოწმობს მისი შედეგები, ხაზს უსვამს გაზეთი, კონფერენციაზე გამოიხატა ევროპის ქვეყნების 29 მილიონი კომუნისტის მისწრაფება კვლავაც იბრძოლონ მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესის საქმისათვის, მიაღწიონ საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგობის მიუხედავად, სრულიად ევროპის საბოლოო აქტში ჩამოყალიბებული პრინციპების სრულ განხორციელებას.

ბრიუსელი

ბრიუსელი. ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიები, წერს გაზეთი „დრაპო რუჟი“, განაცთრებენ თანამშრომლობას და საერთაშორისო სოლიდარობას მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეების ბანაზე. კონფერენციის მონაწილეებმა, განაგრძობს გაზეთი, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ მავნეა ანტიკომუნიზმი პროგრესისა და მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის განვითარებისათვის.

ლონდონი

ლონდონი. ევროპის კომუნისტურმა პარტიებმა, აღნიშნავს გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“, კონფერენციის დასასრულს მოიწონეს დოკუმენტი, რომელიც მათი ურთიერთობის პრინციპებს ამკვიდრებს და მათს საერთო ძიზნებს განსაზღვრავს. ეს დოკუმენტი, განაგრძობს გაზეთი, სასტიკად გმობს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის ყოველგვარ ცდას და აყენებს მოთხოვნას სამხედრო დაძაბულობის შენელებაში პროგრესის მიღწევის შესახებ, გმობს ძალის გამოყენებას და მხარს უჭერს ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ერთდროულ ლიკვიდაციას.

ტოკიო

ტოკიო. განმარტავს რა ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ბერლინის კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვას, „იომიური“ აღნიშნავს, რომ მას „უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მთელი ისტორიისათვის“. მეორე იაპონური გაზეთი, „ტოკიო სიმბუნი“ აღნიშნავს თანხმობისა და საერთაშორისო სოლიდარობის ატმოსფეროს, რომელშიც კონფერენციის მიმდინარეობდა და საბოლოო შედეგი მოიწონეს. (საკდესი).

ეროვნული ერთიანობა

ეგვიპტეში

ეგვიპტეში ეროვნული ერთიანობის ორგანიზაციის ფარგლებში ჩატარდა ეროვნული ერთიანობის ფორუმი,

ჯანმრთელობის ახალი ჯერა

** მ**ახარაძე. (საკ. კორ.). ქალაქის განაპირას, მდინარე ბუუის მარჯვენა სანაპიროზე გაიხსნა საავადმყოფო-კომპლექსის შენობა. საავადმყოფო-კომპლექსი 500-საწოლიანია.

ამის გამო გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. მალაზონიამ.

სიტყვა წარმოთქვეს მშენებლების სახელით — № 5 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა მ. გობრონიძემ, რაისაავადმყოფოს პარტბიუროს მდივანმა შ. ზაქარიაძემ, სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ორაგველიძემ, ლაითურელმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. კოხენკომ, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ა. მუკანაძემ.

ბ. ჩხაიძე.

სურათზე: საავადმყოფო-კომპლექსის ხედი.

ზ. სამსონიას ფოტო.

ქართველი მეცნიერის დამსახურების აღიარება

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიური კრება, რომელშიც ჯადემიის პრეზიდიუმის წევრად აირჩია სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ნ. ჯიბლაძე.

მრავალმხრივია გ. ნ. ჯიბლაძის მეცნიერული და ლიტერატურულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის სამასამდე სამეცნიერო შრომა, ოცდაათი მონოგრაფია, რომლებიც ეძღვნება პედაგოგიკის, ესთეტიკის, ფილოსოფიის, ლიტერატურათმცოდნეობის, კრიტიკის დარგში გამოკვლევებს.

ფართო სახელი მოიხვეჭა მეცნიერისა და ლიტერატორის არაერთმა წიგნმა. მონოგრაფიას „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. (საქინფორმი).

ექვთიმეს ქაბლეით

□ **სოხუმი.** ლენინგორის პლატოზე ახალი სასურსათო მაღაზია გაიხსნა — თევზის, ხორცის, ბოსტნეულის და მინერალური წყლების განყოფილებები თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი.

დ. ნარმანია

□ **ცხინვალი.** ცხინვალი-მენჯოს ტრასაზე დამსვენებლები ახალი უნგრული ავტობუსით — „იკარუსით“ მგზავრობენ. ახლახან ასეთივე ავტობუსი მიიღეს სოფელ ძველი სენაკის მშრომელებმა.

მ. უურაშვილი.

□ **ზუგდიდი.** ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის მეორე უბანში გაიხსნა ახალი საბავშვო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი ოთხიათას ეგზემპლარს შეადგენს.

გ. ალუბარია.

□ თელავი. წინანდლის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ბრიგადის წევრებმა (ბრიგადირი თ. წივილაშვილი) ვალდებულება იკისრეს დაამზადონ 2.100 ტონა სილოსი, 750 ტონა ხენაჟი და 150 ტონა თივა.

დღეისათვის მათ უკვე დაამზადეს 130 ტონა ხენაჟი.

მ.ჭიჭიაშვილი.

□ **საჩხერე.** ქორეთელი მევენახეები მოვლასა და მზრუნველობას არ აკლებენ ვაზს, უამინდობას არ ეპუებიან და დღენიადაგ ზვრებში ტრიალებენ. მათ დროულად და ხარისხიანად დამუშავეს რიგთაშორისები, მეჩხერიანობა შეამცირეს, ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქები შეიტანეს. ამჟამად მიმდინარეობს ვაზის მწვანე ოპერაციები და ბორდოს სითხით შეწამლა. მუშაობაში დაწიაურდნენ № 4 და № 6 ბრიგადები. მათ ვალდებულება იკისრეს 34 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 36 ცენტნერი ყურძნის მოსავალი მიიღონ.

ა. კაპანაძე.

ეკონომია

გუშინ, 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 22-24, მთებში 18-20 გრადუსი სითბო იყო. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 23 გრადუსი თბილისში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 20-22, მთებში 17-19 გრადუსი იყო.

ღღეს დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 22-26, მთებში 15-20 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 24-29, მთებში 13-18 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 27-29 გრადუსი.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲠᲑᲝᲚᲐ

მანილის საზონათაშორისო ტურნირის მეთხუთმეტე ტურში მეკინგლიუბოვეიჩის მნიშვნელოვანი პარტია ყაიმით დამთავრდა. საპრიზო ადგილების დანარჩენმა პრეტენდენტებმა მოიგეს: ჰორტმა ბაიასასთან, ხოლო პოლუგაევსკიმ — ტორესთან. ცეშკოვსკიმ მოსაგებ პოზიციაში ვადადო პარტია პანოსთან, რომელსაც ამრიგად სამეულში მოხვედრის ყოველგვარი შესაძლებლობა დაეკარგა. რიბლიმ დაამარცხა ტანი, გეორგიუ-ბალაშოვი და კინტაროს — სპაკი ყაიმზე შეთანხმდნენ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ეტყობა, შეურიგდა თავის სატურნირო მდგომარეობას და ბოლო შეჯვერებს დიდი ბრძოლის გაუმართავად ყაიმით ამთავრებს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას პოლუგაევსკი — სპასკის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ცეშკოვსკიმ ზუსტად გამოიყენა უპირატესობა ჰარნდისა და პანოსთან. ამ ორი ქულით ომსკელი დიდოსტატი პოლუგაევსკის დაეწია და სამეულში მოხვედრისათვის იბრძვის. სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა ბალაშოვმა, რომელმაც კინტაროსს მოუგო. კინტაროსთან მატჩში გაიმარჯვა ლიუბოეიჩმაც.

ორ პარტიას ამთავრებდა მეკინგი — შეჯიბრების ეფთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე. მან მოუგო ულმასს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბაიასასთან, რითაც ლიდერობა დაიბრუნა, რომელიც დროებით ჰორტს „დაუთმო“.

გ. გამრეკელი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეოთხმეტე ტურის ხუთი მატჩი გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები ლიდერთა მონაწილეობით თბილისში, მოსკოვსა და კიევში. თბილისის „დინამო“ უმასპინძლებს მოსკოვის „ტორპედოს“. ეს იქნება მათი 68-ე შეხვედრა (მას სჭის საკავშირო კატეგორიის მსაჯი ეისკიდან ვ. ფარდმანი). მანამდე 30 მატჩი მოიგო „დინამომ“, 18 — „ტორპედომ“, 19 — ფრედ დამთავრდა. ბურთების სხვაობაა 120-96.

მოსკოვის „დინამო“ საკუთარ სტადიონზე იღებს „არარატს“ (ამ მატჩის რეპორტაჟი გადმოცემული იქნება ცენტრალური ტელევიზიით 20 საათსა და 30 წუთიდან), ხოლო კიევის „დინამო“ — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“. ამავე დღეს ჟოროშნოვგრადში „ზარია“ უმასპინძლებს მინსკის „დინამოს“, ლენინგრადში „ზენიტი“ — ლვოვის „კარპატს“.

ტურის დანარჩენ სამი მატჩი გაიმართება 7, 8 და 9 ივლისს: „სპარტაკი“ — „დნეპრი“, „ლოკომოტივი“ — „შახტიორი“, ცსკა — „ჩერნომორეცი“.

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

გუშინ გ. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის სტადიონზე (სპორტკლუბი „განთიადი“) გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“. სათადარიგო შემადგენლობთა მატჩი.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ბურთი 37-ე წუთზე გაიტანა ნახევარმცველმა ვლაშენკომ.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: გაგოშიძე, გ. მაჩაიძე, კანთელაძე, ებრალიძე, მელიქია, მინაშვილი, ვლაშენკო, კოპალეიშვილი, ესებუა, ჭილაია, წერეთელი.

თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობა კვლავიდებურად ლიდერობს ტურნირს. მას 14 თამაშიდან 21 ქულა აქვს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

მიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. აი ნაბი შედეგები: სიმფეროპოლის „ტავრია“ — ბაქოს „ნეფტჩი“ — 2:2; კიშინიოვის „ნისტრუ“ — გროზნოს „თერგი“ — 2:2; ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — კრასნოდარის „ყუბანი“ — 0:0; ოიკის „დაუგავა“ — ნალჩიკის „სპარტაკი“ — 1:1; იაროსლავლის „შინაკი“ — დუშანბეს „ამირი“ — 2:0; ყაზანის „რუბინი“ — აშხაბადის „კოლხოზჩი“ — 4:4, პერმის „ზვეზდა“ — ტაშკენტის „პახტაკორი“ — 0:0; კემეროვოს „კუზბასი“ — ალმა-ათის „აარარატი“ — 1:2. ქუთაისის „ტორპედო“ ამ ტურში თავისუფალი იყო თამაშისაგან.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ

ხელმძღვანელობენ. მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთა განმეორებითი ამხანაგური მატჩი. საბჭოთა ხელბურთელებმა კვლავ გაიმარჯვეს — 26:22. ამ მატჩის შემდეგ ნაკრების მწვრთნელებმა დასახელეს მონრეალის ოლიმპიადაში მონაწილე ჩვენი გუნდის შემადგენლობა, რომლის 14 წევრს შორის არის თბილისის „ბურევესტნიკის“ მოთამაშე ა. ანპილოგოვიც.



ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

კალათბურთი. კანადის ქალაქ პამილტონში დამთავრდა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი, რომელშიც გამოავლინა მონრეალის მონაწილე ყველა გუნდი: ვაკთა ტურნირში ითამაშეს 12, ქალთაში — 6 ნაკრები. პირველ შეხვედრას საბჭოთა ვაკები გამართავენ 18 ივლისს მექსიკელებთან, ქალები კი 19 ივლისს — კანადელებთან.

ჩოგბურთი. თუმცა უიმბლდონის ტურნირზე საბჭოთა სპორტსმენები სუსტად გამოვიდნენ, შეჯიბრების ბოლო დღემ მაინც მოუტანა სიხარული ჩვენს სპორტის მოყვარულებს — 18 წლის მოსკოველმა ხატალია ჩმორიოვამ ჩემპიონობა მოიპოვა (უკვე მესამედ) გოგონათა შორის.

ვოლეიბოლი. კუიბიშეველი ალექსანდრე ავერინი ლიდერობს იუბილეიანმა მიმდინარე საგზაოკავცილო ველორბოლას მეცხრე ეტაპის შემდეგ. გუნდურ ჩათვლაში აგრეთვე წინ არის საბჭოთა ნაკრები.

ბატუმი. ამერიკის ქალაქ ტალსაში საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 14 ქვეყნის გუნდები გამოდიოდნენ. ჩვენმა ბატუმელებმა 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მძლეოსნობა. ტალინში დამთავრდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების იუნიორთა ტრადიციული მატჩი. ანგარიშით 213,5:163,5 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. გოგონებს შორის 200 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა მარია კულუნჩინამ — 23,2 წამი. ასევთივე მიუწვდა ვლადიმერ კისელიოვის შედეგი ბირთვის კვრაში — 19,36 მეტრი.

მხატვრული ტანვარჯიში. კიეველმა ირინე დერიუგინამ გაიმარჯვა ტორონტოში (კანადა) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მეორე იყო ომსკელი გალინა შუგუროვა.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ ომსკში 1976 წლის 30 ივნისს გამართულ იქნებათ ზემდე ტირაჟის

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგება ხვდა სესხის სამოცდეოთხმეტე სერიებსა და ოცდაგეცეების შემდეგ ნომრებს:

სერიების №№	ოქმ ი ტ ვ ე ბ ი ს №№	მოგებათა ოდენობა მანეთობით	სერიების №№	ოქმ ი ტ ვ ე ბ ი ს №№	მოგებათა ოდენობა მანეთობით	სერიების №№	ოქმ ი ტ ვ ე ბ ი ს №№	მოგებათა ოდენობა მანეთობით
101040	08*)	2500	133069	11*)	500	169844	I—50	100
101181	34*)	1000	133140	36*)	1000	169955	44*)	500
103550	18*)	500	133563	39*)	500	170940	49*)	500
103773	1—50	40	134247	31*)	500	171789	1—50	40
103789	11*)	500	135799	31*)	500	172690	32*)	500
103870	04*)	1000	136051	1—50	40	172850	1—50	40
103975	29*)	500	136721	16*)	500	173032	1—50	100
104023	30*)	500	137476	31*)	500	174864	35*)	500
104263	11*)	500	138894	15*)	500	175328	1—50	40
104585	03*)	500	139276	1—50	40	175381	39*)	500
106797	33*)	500	139733	23*)	500	175569	09*)	500
107945	49*)	500	139871	10*)	500	175767	20*)	500
109224	1—50	100	140162	18*)	1000	176010	1—50	40
109807	1—50	40	140936	03*)	500	176224	1—50	40
109881	03*)	500	141707	05*)	500	176229	01*)	500
109931	1—50	40	142117	43*)	500	176265	1—50	40
109947	09*)	2500	143211	16*)	2500	176589	17*)	500
110937	22*)	1000	143658	03*)	500	177294	35*)	500
111300	16*)	500	144325	18*)	500	177351	08*)	500
112349	1—50	40	145682	1—50	40	177886	33*)	500
112526	09*)	500	146373	1—50	40	179222	1—50	40
114113	1—50	40	148493	20*)	500	179273	1—50	40
115728	1—50	40	149240	40*)	1000	179725	1—50	40
116935	1—50	100	149324	16*)	500	180042	42*)	500
117079	1—50	40	150024	47*)	500	180380	17*)	500
117353	03*)	500	150802	42*)	500	180822	07*)	500
117781	20*)	500	150929	1—50	100	180851	1—50	40
117912	29*)	500	151035	24*)	500	181231	50*)	500
118188	17*)	500	151251	33*)	500	181529	33*)	500
118817	20*)	500	151300	03*)	500	181706	35*)	500
119147	23*)	1000	153573	11*)	500	182423	49*)	500
119951	30*)	2500	154582	1—50	100	182522	21*)	500
120366	1—50	100	154774	49*)	1000	183051	18*)	5000
121241	17*)	500	154915	50*)	5000	183229	30*)	500
121569	30*)	500	155715	1—50	40	183271	29*)	500
124174	15*)	500	155937	25*)	500	185647	05*)	500
124411	1—50	40	156235	18*)	500	185920	1—50	40
125711	25*)	500	156259	45*)	500	187845	35*)	500
125737	16*)	500	156402	15*)	1000	188087	1—50	40
126385	44*)	1000	156607	44*)	500	188958	47*)	500
126417	15*)	500	157079	1—50	40	189134	31*)	500
126929	13*)	500	157509	20*)	500	190647	15*)	500
127044	17*)	500	158102	31*)	500	190790	27*)	500
127237	37*)	500	158498	39*)	500	190810	14*)	500
127725	44*)	500	158615	1—50	100	190957	43*)	1000
128747	1—50	40	160498	26*)	500	192121	16*)	500
128789	45*)	500	160881	50*)	500	192185	1—50	100
129032	19*)	1000	161170	1—50	100	192493	25*)	500
129040	1—50	40	161925	1—50	100	193224	03*)	500
129491	39*)	1000	162180	1—50	100	193554	1—50	100
130002	48*)	500	162284	24*)	500	193639	32*)	500
130045	1—50	40	162461	1—50	40	195242	41*)	500
130383	30*)	1000	162535	14*)	2500	195270	17*)	500
130547	25*)	500	162682	32*)	1000	195745	1—50	40
130948	34*)	1000	163293	10*)	500	196448	1—50	40
131281	1—50	40	166040	04*)	500	196701	25*)	500
131598	30*)	500	166064	03*)	1000	197111	43*)	500
132601	48*)	1000	167886	1—50	40	197290	14*)	500
132728	1—50	40	168017	04*)	500	197828	28*)	500
132738	13*)	500	168892	29*)	500	198258	01*)	1000
132993	39*)	500	168914	1—50	100	199402	02*)	1000
133008	23*)	500	169001	1—50	40	199965	1—50	100
133014	1—50	40	169745	09*)	500			

*). ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს წილად ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათი მანეთის ღირებულების ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი ხალხოები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, ვაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ომსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. პ. შეჩკოვი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. პ. ზასიოლოდჩიკოვა

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲠᲮᲘ

პირველი პროგრამით

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი — „პატარა გაუგებრობები“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30— სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ I სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.40 —განცხადებები, 17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.30 — „ეფექტიანობა და ხარისხი — მთავარი საზრუნავი“ „წარმოებაშიც დავნერგოთ ბრიგადული იჯარა“, 19.00 — კონცერტი, 19.30 — სსრ კავშირის პრივლეობა ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). შესვენების დროს „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. „დინამო“ (მოსკოვი) — — „არარატი“ (ერევანი) II ტაიმი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. II სერია (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „სახელმწიფო ერმიტაჟი“. ფერადი გამოსახულებით, 19.05 — განცხადებები, 19.10 — მხატვრული ფილმი „სოკოლოვო“. II სერია. ფერადი გამოსახულებით.



7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული სალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული საოპერეტო მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ი. ბახი. სავიოლინო კონცერტი, 11.45 — „მწერალი მიკროფონთან“, 12.10 — რადიოკომპოზიცია „კომუნისტები — წინა ხაზზე“, 12.30 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული სიმღერა, 14.00 — საორკესტრო პიესები, 14.20 — ახალგაზრდა ბელორუს კომპოზიტორთა ნაწარმოებები (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — ვ. აზარაშვილი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — ა. ბუკა. ნაკუწკეტები ოპერიდან „ყვავილთა სამყაროში“, 20.20—რომანსები თ. ზალიშვილის შესრულებით, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“. გადაცემა თბილისიდან ამიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის. 21.00 — „ძილისპირული“, 21.09 — ვ. სულაკაური. „უდელტეხილზე“ რადიოდადგმა, 22.20 — მხუბუქი მუსიკა, 23.30 — ს. ცინცაძე. თორმეტი საფორტეპიანო პრელუდია.



6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲐᲠᲪᲘᲡ ᲠᲩᲘ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲔᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲠᲯᲘ; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲯᲐᲠ ᲓᲐᲘᲮᲝᲪᲜᲔᲜ, ᲛᲔᲠᲔ ᲘᲕᲘᲠᲩᲘᲜᲔᲡ (განახლებული დადგმა).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲠᲓᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲐᲒᲣᲚᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲮᲘᲚᲓᲦ ᲒᲣᲚᲐᲓᲦᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲡ ᲐᲛᲓᲐᲕᲘ ახალციხის რაიონის სოფელ მინაძეში მოხდა. მარტის ცივ დღეს ათი წლის გურამ ბარამძე თევზობდა. უეცრად ფეხი დაუსხლტა და ამობოძრებულ მდინარეში ჩავარდა. წყალწაღებული ბიჭის ყვირილი შემოესმა გზად მიმავალ ნუგზარ ზედგინიძეს, რომელიც ახალციხის სამოქალაქო თავდაცვის კურსების საწარმოო საწავლების ოსტატად მუშაობს. იგი ტანსაცმლიანად გადაეშვა ყინულიანი წყალში, გამოიყვანა ბავშვი ნაპირზე და აღმოუჩინა პირველი დახმარება.

წყალწაღებულს გადარჩენისას გამოჩენილი გულადობისათვის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ნუგზარ ვასილის-ძე ზედგინიძე დაჯილდოდა медалით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

„ᲓᲐᲘᲡᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ფალიაშვილის ოპერა „დაისში“ ორ ახალგაზრდა მომღერალს მოვუსმინეთ: მაროს პარტიას პირველად ასრულებდა მ. მაღლაფერიძე, ხოლო კიაზოსას — ჯ. მდივანი.

მ. მაღლაფერიძემ ორი წლის წინათ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (დოცენტ გ. ქართველიშვილის კლასი) და თბილისის საოპერო თეატრის ახალგაზრდულ ჯგუფში სოლისტად ჩაირიცხეს. მისმა სრული და თანაბარი დიაპაზონის ლამაზი ტემბრის ოქროკეულმა სოპრანომ თავიდანვე მიიქცია ყურადღება. ამას კარგმა სცენურმა გარეგნობამაც შეუწყო ხელი. მან წარმატებით იმღერა პამინას პარტია მოცარტის ოპერა „ჯადოსნურ ფლეიტაში“. ამჯერად კი მაროს პარტიაში სიამოვნება მოჰკვარა მსმენელს.

ჯ. მდივანი ჯერ კიდევ კონსერვატორიის V კურსის სტუდენტი იყო, როდესაც თეატრში სოლისტად მიიღეს. ამ დროისათვის იგი იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის ეოკალისტთა, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. მძლავრი, ლამაზი ბარიტონით, ეფექტური სცენურობით, ლირიკული გამომსახველობით მან მალე მოიპოვა მაყურებლის სიყვარული. იმღერა ელეკვის, რობერტის, სილვიოს, ჟერმონის, გელას პარტიები. ახლა კი მის რეპერტუარს კიაზოც დაემატა.

თბილისის საოპერო თეატრს ამ ორი ახალგაზრდის სახით ჰყავს პერსპექტიული მომღერლები, რომელთა პროფესიული დახვეწა უკვე მომავლის საქმეა.

ნ. სვანიშვილი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ

ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ომში მოხალისეებად წავიდნენ. საავიაციო პოლკში „ბავშვის“ შინ დაბრუნება დაუპირეს, მაგრამ ახალგაზრდობა თავისი გაიტანეს და წინა ხაზზე დარჩნენ.

სცენაზე ათი გმირია, ხუთი ქალი და ხუთი ვაჟი, და კიდევ — მეთერთმეტე და უმთავრესი — მეგობრობა და სიყვარული. პიესა პრემიერებულია საქართველოს მწერალთა კავშირის, კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

სპექტაკლის მძაფრი, დრამატული, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული დასასრული ერთი წუთით გვაგიწყებს, რომ მოქმედება მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე ხდება. მაყურებელს ამ ჟანრისათვის უჩვეულო განწყობილება ეუფლება, მაგრამ ეს განწყობილება შემზადებულია მოქმედების შინაარსით, მისი განვითარებითა და იმ ძლიერი ლოგიკით, რომელიც დრამატურგმა აკაკი გეწაძემ პიესას საფუძვლად დაუდო.

როცა აღნიშნულმა პიესამ („ბალმანი ცაში“) რუსთაველის სახელობის თეატრიდან მუსიკალური კომედიის სცენაზე გადმოინაცვლა, ბევრს ეს ამბავი კიდეც ეხამუშა. მაგრამ დრამატურგისა და მუსიკის შერწყმამ სასურველი ნაყოფი მოგვცა. აქ, მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ა. გეწაძის პიესის სიკეთე, რომელიც ერთი შეხედვით ყანრისათვის შეუფერებელ გარემოში აღმოჩნდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სცენაზე ათი ქალ-ვაჟის დაწყვილებამ ყანრისათვის სასურველი ნიადაგი შექმნა და პიესის წარმატება კიდიც განაპირობა.

როგორია სპექტაკლში კომედიურისა და დრამატული საწყისების ურთიერთშეთავსებაზე? ტრაგიკული ფინალი შემზადებულია მოქმედების მსვლელობით და ლოგიკურ დასკვნასავით აღიქმება, რომელიც კიდევ ერთხელ, ხმამაღლა მოგვაგონებს, რომ ომი ყოველგვარი სიკეთისა და მათ შორის უზენაესი ადამიანური ბედნიერების ანუ სიყვარულის ულმობელი მტერია. ამ მხრივ პიესაში უხვად არსებული კომიკური სიტუაციებიც კანონზომიერად, დამაჯერებლად აღიქმება, რადგან მოქმედ გმირთა ვრძნობების უიღბლო დასასრულისაგან გამოწვეული სევდის ორეკეციებს.

კომპოზიტორი შოთა მილორავა საოპერეტო ჟანრის ჩინებული მცოდნეა. ამას კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სპექტაკლის მუსიკა, რომელიც დრამატურგიის განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგება. მრავალფეროვან, მღერად, ინტონაციურად მდიდარ პარტიტურაში ორიგინალურთან ერთად უკვე ცნობილი ჰანგების ციტირება თუ დამუშავება გვესმის, კომპოზიტორმა დრამატურგიული სვლებისთვის თუ გმირთა დასახასიათებლად გამოიყენა ქართული ხალხური სიმღერა „მუმლი-მუხასნ“, ალეკანური „წმინდა ინა“, შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიის ნაწილი, ოკრინული, აზერბაი